სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული N1294 კონკურსის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ. თბილისი „ 29 “ ივლისი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან უჯმაჯურიძე - კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ პაპიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ავთანდილ კორახაშვილი- კომისიის წევრი

გივი ბასილაძე - კომისიის წევრი

ნატალია ხომასურიძე - კომისიის წევრი.

რევაზ სიჭინავა - კომისიის წევრი.

აპარატის წევრები: ფრიდონ ალავიძე

სხდომას არ ესწრებოდა თენგიზ ქურდაძე - მივლინებაში ყოფნის გამო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის N6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **N1294** კონკურსში შპს « საქპროექტარქიტექტურას » და შპს « არქსტუდიოს » მიერ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოსადგენილი დოკუმენტაციის განხილვა
2. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის N6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **N1294** კონკურში, კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასება.

მოისმინეს: საკონკურსო კომიის თავჯდომარემ, ლევან უჯმაჯურიძემ კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს კომისიის აპარატის წევრი ფრიდონ ალავიძე.

აპარატის წევრმა, ფრიდონ ალავიძემ კომისიას მოახსენა, რომ შპს « საქპოექტარქიტექტურამ » და შპს « არქსტუდიომ », საკონკურსო კომისიის 2014 წლის 24 ივლისის სხდომის გადაწყვეტილების (სდომის ოქმი N2) შესაბამისად, განსაზღვრულ ვადებში, წარმოადგინეს საკუთარი საკონკუროს წინადადებებთან დაკავშირებული დაზუსტებული ინფორმაცია.

განხილვა : კომისია გაეცნო შპს « საქპოექტარქიტექტურას » და შპს « არქსტუდიოს » მიერ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მიიჩნია რომ იგი სრულად შეესაბამება შესმყიდველის მიერ, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს

პრეტენდეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემსყიდველის მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, გაიმართა საკონკუროს წინადადებების შეფასება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად (*არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.5 ; კონკურსატის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.2 ; წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2 ; საბოლოო პროექტის წარმოდგენის ვადები: კოეფიციენტი – 0.1)*

შეფასება

საკონკურსო კომისიის მიერ, პრეტენდენტთა წინადადებების შეფასების შემდეგ გამოვლინდა :

1. შპს « საქპროექტარქიტექტურა »-მ მიიღო ჯამური – **41.5** ქულა
2. შპს « ა.მ. არქიტექტურა »-მ მიიღი ჯამური – **44.1** ქულა
3. შპს « ტურბილიონი »-მ მიიღი ჯამური – **48.6** ქულა
4. შპს « არქსტუდიო »-მ მიიღი ჯამური – **44.9** ქულა
5. შპს **«New arch studio»**-მ მ მიიღი ჯამური – **55.7** ქულა

დაადგინეს:

1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **N1294** კონკურში გამარჯებულია შპს **«New arch studio»**

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს:

- შპს «New arch studio»–სათვის შეტყობინების გაგზავნა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირის მოსავლენად არაუგვიანეს 2014 წლის 4 აგვისტოსა
- წარმოდგენილი წინადადებების, წინამდებარე ოქმისა და გამარჯვებული კონკურსანტისთვის გასაგზავნი წერილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა 2014 წლის 29 ივლისისა

კომისიის თავჯდომარე		ლევან უჯმაჯურიძე
კომისიის თავჯდომარის მოადგილე		ნიკოლოზ პაპიძე
კომისიის წევრები:		ავთანდილ კორახაშვილი
		გივი ბასილაძე
		ნატალია ხომასურიძე
		რევაზ სიჭინავა
აპარატის წევრი:		ფროდონ ალავიძე